შეთანხმება

საქართველოს მთავრობასა და ყაზახეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის საბაჟო საკითხებში თანამშრომლობისა
და
ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ

საქართველოს მთავრობა და ყაზახეთის რესპუბლიკის მთავრობა, შემდგომში „მხარეებად“ წოდებულნი,

სურთ რა მხარეებს შორის მეგობრული ურთიერთობების გამყარება, საბაჟო საქმის სფეროში თანამშრომლობის მეშვეობით;

ითვალისწინებენ რა, რომ მხარე სახელმწიფოების საბაჟო კანონმდებლობის დარღვევა ზიანს აყენებს მხარეების უსაფრთხოებას, მათ ეკონომიკურ, კომერციულ, ფინანსურ, სოციალურ, და კულტურულ ინტერესებს;

მხედველობაში იღებენ რა, საგარეო სავაჭრო ოპერაციების განხორციელებაზე დაკისრებული საბაჟო გადასახდელებისა და გადასახადების ზუსტად დადგენისა და ასევე აკრძალვების, შეზღუდვებისა და კონტროლის ზომების სათანადოდ გატარების მნიშვნელობას;

გამოთქვამენ რა რწმენას, რომ საბაჟო კანონმდებლობის დაცვა და საბაჟო სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლა უფრო წარმატებულად განხორციელდება მხარე სახელმწიფოების საბაჟო ორგანოებს შორის თანამშრომლობის შემთხვევაში;

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1
განსაზღვრებები

ამ შეთანხმების მიზნებისათვის:

a) საბაჟო ორგანო ნიშნავს:

- საქართველოს მთავრობისათვის: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიულ პირი - შემოსავლების სამსახური, და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელებისას და საბაჟო სამართალდარღვევების გამოძიებისას - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური;

- ყაზახეთის რესპუბლიკის მთავრობისათვის: ყაზახეთის რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს საბაჟო კონტროლის კომიტეტი;

b) საგადასახადო მოთხოვნა - ნებისმიერი საბაჟო გადასახდელებს და გადასახადებს, საურავებს და ნებისმიერ სხვა თანხებს, რომლებიც დაკავშირებულია იმ გადასახადებთან, რომელთა გადახდევინება შეუძლებელია განხორციელდეს მხარე სახელმწიფოების ტერიტორიაზე;

c) საბაჟო კანონმდებლობა - მხარის ნორმატიული სამართლებრივი აქტების ერთობლიობა, რომელიც არეგულირებს საქონლის, შემოტანის, გატანის, გადაადგილების წესებს, რომელთა აღსრულების უზრუნველყოფა უშუალოდ ეკისრება მხარის სახელმწიფო საბაჟო ორგანოს;

d) საბაჟო სამართალდარღვევა - საბაჟო კანონმდებლობის ნებისმიერ დარღვევა ან ასეთი დარღვევის მცდელობა;

e) ინფორმაცია - ნებისმიერი მონაცემი ან დოკუმენტი, დამუშავებული ან დაუმუშავებელი, ანგარიშები და სხვა შეტყობინებები ნებისმიერი ფორმატით, მათ შორის მონაცემები ელექტრონულ მედიაზე ან მათი დამოწმებული ასლები;

f) თანამდებობის პირი - საბაჟო ორგანოს თანამშრომელი;

g) პირი - ფიზიკური და/ან იურიდიული პირი;

h) პერსონალური მონაცემები - ნებისმიერი მონაცემები იმ ფიზიკური პირის შესახებ, რომლის ვინაობაც დადგენილია ან უნდა დადგინდეს;

i) თხოვნის წარმდგენი საბაჟო ორგანო - დახმარების აღმოჩენის თაობაზე თხოვნის წარმდგენი მხარის სახელმწიფო საბაჟო ორგანო;

j) თხოვნის მიმღები საბაჟო ორგანო - დახმარების აღმოჩენის თაობაზე თხოვნის მიმღები მხარის სახელმწიფო საბაჟო ორგანო;

m) მიწოდების ჯაჭვი - პროცესები, რომელიც დაკავშირებულია საქონლის საზღვარზე გადაადგილებასთან, მისი წარმოშობის ადგილიდან მის საბოლოო დანიშნულებამდე;

n) ტერიტორია - გამოიყენება მხარე სახელმწიფოების შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით განსაზღვრული მნიშვნელობით;

მუხლი 2
შეთანხმების გავრცელების სფეროები

1. მხარეები თავიანთი მხარე სახელმწიფო საბაჟო ორგანოების მონაწილეობით, გაუწევენ ადმინისტრაციულ ურთიერთდახმარებას მხარე სახელმწიფოების ტერიტორიაზე საბაჟო კანონმდებლობის შესრულების და საბაჟო სამართალდარღვევების პრევენციის, გამოძიებისა და აღკვეთის, ასევე საერთაშორისო ვაჭრობის მიწოდების ჯაჭვის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით.
2. ეს შეთანხმება არ შეეხება თითოეული მხარის ვალდებულებებს, რომლებიც გამომდინარეობს იმ საერთაშორისო შეთანხმებებიდან რომლების მონაწილეებიც არიან ეს სახელმწიფოები.
3. ამ შეთანხმების ფარგლებში მხარეთა თანამშრომლობა ხორციელდება თითოეული მხარე სახელმწიფოთა შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად, მხარე სახელმწიფოების საბაჟო ორგანოების კომპეტენციის ფარგლებში.

მუხლი 3
ინფორმაციის გაცვლა

1. მხარე სახელმწიფოების საბაჟო ორგანოებს, მიღებული თხოვნის საფუძველზე ან თავიანთი ინიციატივით, შეუძლიათ ერთმანეთს მიაწოდონ ინფორმაცია, რომელიც ხელს შეუწყობს საბაჟო კანონმდებლობის სათანადო გამოყენებასა და საბაჟო სფეროში სამართალდარღვევების პრევენციას, გამოძიებასა და მათ წინააღმდეგ ბრძოლას, ასეთი შეტყობინება შეიძლება მოიცავდეს ინფორმაციას:

a) საბაჟო კანონმდებლობაში ცვლილებების შესახებ;
b) საბაჟო კონტროლის ახალი ტექნიკური საშუალებებისა და საბაჟო კონტროლის ფორმების შესახებ;
c) საბაჟო სამართალდარღვევებთან ბრძოლის ახალი მეთოდების შესახებ, რომლებმაც დაამტკიცეს თავიანთი ეფექტურობა;
d) იარაღის, ასაფეთქებელი და რადიოაქტიური ნივთიერებების და ასევე სხვა გარემოსათვის და მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემცველი ნივთიერებების არაკანონიერი გადაადგილების შესახებ;
e) განსაკუთრებული ისტორიული, კულტურული ან არქეოლოგიური ღირებულების მქონე ნივთების გადაადგილების შესახებ;
f) იმ პირების შესახებ, რომლებმაც დაარღვიეს საბაჟო კანონმდებლობა ან არსებობს ეჭვი რომ მათ დაარღვიეს საბაჟო კანონმდებლობა თხოვნის წარმდგენი მხარე სახელმწიფოს ტერიტორიაზე;
g) სატრანსპორტო საშუალებების ან სხვა ნივთების შესახებ, რომლებიც გამოყენებული იქნა ან არსებობს ეჭვი რომ გამოყენებული იქნა, მოთხოვნის

წარმდგენი მხარე სახელმწიფოს ტერიტორიაზე საბაჟო სამართალდარღვევის ჩადენისას;

h) ნებისმიერი სხვა მონაცემი და სტატისტიკური ინფორმაცია, რომელიც დახმარებას გაუწევს მხარე სახელმწიფოების საბაჟო ორგანოებს.

2. თხოვნის შემთხვევაში, თხოვნის მიმღები საბაჟო ორგანო თხოვნის წარმდგენ საბაჟო ორგანოს აწვდის შემდეგ ინფორმაციას:

a) არის თუ არა თხოვნის წარმდგენი მხარე სახელმწიფოს საბაჟო ტერიტორიაზე იმპორტირებული საქონელი კანონიერად ექსპორტირებული თხოვნის მიმღები მხარე სახელმწიფოს საბაჟო ტერიტორიიდან;
b) არის თუ არა თხოვნის წარმდგენი მხარე სახელმწიფოს საბაჟო ტერიტორიიდან ექსპორტირებული საქონელი კანონიერად იმპორტირებული თხოვნის მიმღები მხარე სახელმწიფოს საბაჟო ტერიტორიაზე;
c) იმ საბაჟო პროცედურის შესახებ, რომელშიც მოექცა, თხოვნის მიმღები მხარე სახელმწიფოს საბაჟო ტერიტორიაზე, კანონიერად შესული ტვირთი.

მუხლი 4
ინფორმაცია საბაჟო სამართალდარღვევების შესახებ

1. მხარე სახელმწიფოების საბაჟო ორგანოები საკუთარი ინიციატივით ან თხოვნის საფუძველზე უზრუნველყოფენ ერთმანეთს ინფორმაციით ისეთი განხორციელებული ან დაგეგმილი ქმედებების შესახებ, რომლებიც გამოიწვევს ან შეიძლება გამოიწვიოს საბაჟო კანონმდებლობის დარღვევა და ასევე, როდესაც ამან შეიძლება ზიანი მიაყენოს ეკონომიკას, ჯანდაცვას, საზოგადოებრივ უსაფრთხოებას.

2. თუ ექსპორტიორი მხარე სახელმწიფოს საბაჟო ორგანოსათვის, იმპორტიორი ქვეყნის საზღვრის გადაკვეთამდე, ცნობილი გახდა ინფორმაცია, რომელიც შეეხება საბაჟო კანონმდებლობის დარღვევას, მათ შორის საბაჟო ღირებულების დადგენის წესების, კლასიფიკაციისა და საქონლის წარმოშობის წესების დარღვევას, მაშინ ასეთი ინფორმაცია შეიძლება წინასწარ მიეწოდოს, იმპორტიორი მხარე სახელმწიფოს საბაჟო ორგანოს.

მუხლი 5
ინფორმაციის ავტომატიზირებული გაცვლა

მხარე სახელმწიფოების საბაჟო ორგანოები, უფლებამოსილნი არიან ავტომატურ რეჟიმში გაცვალონ ინფორმაცია.

მუხლი 6
დოკუმენტების გადაცემა

1. ერთი მხარე სახელმწიფოს საბაჟო ორგანო მეორე მხარე სახელმწიფოს საბაჟო ორგანოს, თხოვნის საფუძველზე, გადასცემს აუცილებელი დოკუმენტაციის ასლებს. თხოვნის საფუძველზე ორიგინალი დოკუმენტების გადაცემა ხორციელდება იმ შემთხვევებში, როდესაც დამოწმებული ასლები და ქსეროასლები არ არის საკმარისი. ორიგინალი დოკუმენტები უნდა დაუბრუნდეს თხოვნის მიმღებ საბაჟო ორგანოს შეთანხმებული ვადის განმალობაში.

2. დოკუმენტების გადაცემის შესახებ მოთხოვნაში საქმის საფუძველი ისე უნდა იყოს აღწერილი როგორც ამას ითვალისწინებს მოცემული მუხლი.

მუხლი 7
კონტროლირებადი მიწოდება

მხარე სახელმწიფოების საბაჟო ორგანოები, ურთიერთთანხმობის საფუძველზე და საბაჟო კონტროლის ქვეშ, გამოძიების ხელშეწყობის და საბაჟო სამართალდარღვევებთან ბრძოლის მიზნით გასცემენ ნებართვას მათი სახელმწიფოს ტერიტორიაზე საეჭვო ტვირთების გადაადგილების შესახებ. თუ ამ სახის ნებართვის გაცემა არ შედის ერთ-ერთი მხარე სახელმწიფოს საბაჟო ორგანოს კომპეტენციაში, მაშინ ის თანამშრომლობის მიზნით მიმართავს შესაბამისი კომპეტენციის მქონე სახელმწიფო ორგანოებს, ან გადასცემს საქმეს ასეთ ორგანოს ან ორგანოებს.

მუხლი 8
თხოვნის ფორმა და შემადგენლობა

1. ამ შეთანხმების ფარგლებში თხოვნა დახმარების აღმოჩენის თაობაზე გადაეცემა უშუალოდ მეორე მხარე სახელმწიფოს საბაჟო ორგანოს.

2. თხოვნა წარდგენილი უნდა იქნას წერილობით ან ელექტრონული ფორმით ინგლისურ ან რუსულ ენაზე და თან უნდა ახლდეს მის შესასრულებლად საჭიროდ მიჩნეული ნებისმიერი ინფორმაცია.

თხოვნის მიმღებ მხარე სახელმწიფოს საბაჟო ორგანოს უფლება აქვს მოითხოვოს ელექტრონული სახით წარმოდგენილი თხოვნის წერილობითი დადასტურება.

3. თხოვნა უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

a) თხოვნის წარმდგენი მხარე სახელმწიფოს საბაჟო სამსახურის სახელწოდებას;
b) ამ შეთანხმების დებულებებზე მითითებას;
c) საქმის არსის მოკლე მიმოხილვას;
d) საჭიროების შემთხვევაში, დანართს (დოკუმენტების ასლები, რომლების შესახებ გაკეთებულია მითითება მოთხოვნის ტექსტში), ასევე ხელშეკრულების ასლებს, ანგარიშებს (ინვოისები) საბაჟო დეკლარაციებს, თანმხლებ დოკუმენტებს;
e) იმ კონკრეტულ მოქმედებათა ჩამონათვალს, რომელთა განხორციელების შესახებ კეთდება მოთხოვნა;
f) საბაჟო პროცედურების სახეობებს;
g) იმ პირთა სახელებს და მისამართებს, რომლებსაც შეეხებათ თხოვნა, თუ ცნობილია მათი ვინაობა.

იმ შემთხვევაში როდესაც თხოვნის მიმღები მხარე სახელმწიფოს საბაჟო ორგანო არ განაგებს მოთხოვნილ ინფორმაციას, ის აწარმოებს მის მოძიებას თავისი სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თუ ურთიერთდახმარება გაწეული უნდა იყოს თხოვნის მიმღები მხარე სახელმწიფოს სხვა ორგანოების მიერ, თხოვნის მიმღები საბაჟო ორგანო ვალდებულია მიუთითოს ამ ორგანოებზე და შესაბამის შეთანხმებასა ან ხელშეკრულებაზე.

4. ამ შეთანხმებით გათვალისწინებული ინფორმაციის გადაცემა ხორციელდება შესაბამისი თანამდებობის პირების მიერ, რომლებიც სპეციალურად არიან განსაზღვრული ამ მიზნისთვის მხარე სახელმწიფოების საბაჟო ორგანოების მიერ.

მუხლი 9
ექსპერტები და მოწმეები

იმ შემთხვევაში თუ მხარე, საბაჟო სამართალდარღვევის განხილვასთან დაკავშირებით, მიმართავს შესაბამისი თხოვნით მეორე მხარეს, ამ ბოლოს უფლება აქვს თავისი თანამდებობის პირებს მიანიჭოს უფლებამოსილება ექსპერტების ან მოწმეების სტატუსით მონაწილეობა მიიღონ სასამართლო ან ადმინისტრაციულ პროცესებში მეორე მხარე სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

მოთხოვნაში მითითებული იქნება, თუ რომელ საქმეზე და რა სტატუსით უნდა იყოს წარმოდგენილი მოთხოვნის მიმღები მხარე საელმწიფოს საბაჟო ორგანოს თანამდებობის პირი.

მუხლი10
თანამდებობის პირთა ყოფნა მეორე ხელშემკვრელი მხარე სახელმწიფოს ტერიტორიაზე

თხოვნის წარმდგენი მხარე სახელმწიფოს საბაჟო ორგანოების მიერ სპეციალურად დანიშნულ თანამდებობის პირებს, წერილობითი თხოვნის საფუძველზე და თხოვნის მიმღები მხარე სახელმწიფოს საბაჟო ორგანოს ნებართვით და მის მიერ დადგენილი პირობების დაცვით, საბაჟო სამართალდარღვევების ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების მიზნით, შეუძლიათ:

a) თხოვნის მიმღები მხარე სახელმწიფოს საბაჟო ორგანოს ოფისებში გაეცნონ დოკუმენტებს, და ასევე ნებისმიერ სხვა ინფორმაციას რომელიც დაკავშირებულია საბაჟო სამართალდარღვევებთან;
b) დაესწრონ თხოვნის მიმღები მხარე სახელმწიფოს ტერიტორიაზე, თხოვნის მიმღები მხარე სახელმწიფოს საბაჟო ორგანოს მიერ იმ ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების ჩატარების პროცესებს, რომლებიც შედის თხოვნის წარმდგენი მხარე სახელმწიფოს საბაჟო ორგანოს ინტერესების სფეროში.

ამ მუხლით გათვალისწინებული თანამშრომლობა განხორციელდება შესაბამისი სახელმწიფოს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის დებულებების შესაბამისად.

მუხლი 11
თხოვნის წარმდგენი საბაჟო ორგანოს თანამდებობის პირების ყოფნა თხოვნის მიმღები საბაჟო ორგანოს მოწვევის საფუძველზე

1. თუ თხოვნის მიმღები საბაჟო ორგანო მიიჩნევს მიზანშეწონილად ან აუცილებლად, ურთიერთდახმარების ღონისძიებების განხორციელებისას, თხოვნის წარმდგენი საბაჟო ორგანოს თანამდებობის პირის დასწრებას, მან ამის შესახებ უნდა აცნობოს თხოვნის წარმდგენ საბაჟო ორგანოს და უნდა მოხდეს თანამდებობის პირის მოწვევა.

ამ სახის მონაწილეობა უნდა განხორციელდეს ამ შეთანხმების მე-12 მუხლის შესაბამისად და თხოვნის მიმღების საბაჟო ორგანოს პირობების შესაბამისად.

2. მხარე სახელმწიფოების საბაჟო ორგანოებს შეუძლიათ, გააგრძელონ თანამდებობის პირების ყოფნის ვადა, მითითებული ვადის და პირობების ფარგლებს გარეთ.

მუხლი 12
დებულებები მიწვეული თანამდებობის პირებისათვის

1. ერთი მხარის თანამდებობის პირები, რომლებიც იმყოფებიან მეორე მხარე სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ატარებენ საკონსულტაციო სტატუსს და მათ მოსაზრებებს სარეკომენდაციო ხასიათი აქვს.

2. ასეთ თანამდებობის პირებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა წარმოადგინონ დოკუმენტები, ორივე მხარისათვის გასაგებ ენაზე.

მუხლი 13
ინფორმაციის გამოყენება და კონფიდენციალურობა

1. ამ შეთანხმების საფუძველზე მიღებული ნებისმიერი ინფორმაცია ან დოკუმენტები შეიძლება გამოყენებული იქნას მხარე სახელმწიფოების საბაჟო ორგანოების მიერ მხოლოდ ამ შეთანხმების მიზნებისათვის, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ინფორმაციის მიმწოდებელი საბაჟო ორგანოს მხარე სპეციალურად დაადასტურებს, რომ მოცემული ინფორმაცია ან დოკუმენტები შეიძლება გამოყენებული იქნას სხვა ორგანოების მიერ ან სხვა მიზნებისათვის.

2. ამ შეთანხმების საფუძველზე მიღებული ნებისმიერი ინფორმაცია ან დოკუმენტები მიიჩნევა კონფიდენციალურად და სარგებლობს დაცვის იგივე ხარისხით, როგორითაც სარგებლობს მსგავსი ინფორმაცია იმ მხარე სახელმწიფოს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით, საიდანაც მიღებულია ეს ინფორმაცია.

3. მიღებული ინფორმაცია უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ ამ შეთანხმების დებულებების განხორციელების მიზნებისთვის.

ერთი მხარის მიერ მოცემული ინფორმაციის სხვა მიზნებისთვის გამოყენების შემთხვევაში, აუცილებელია მეორე მხარის წერილობითი თანხმობა.

მუხლი 14
პერსონალური მონაცემების დაცვა

ამ შეთანხმების დებულებების შესაბამისად მიღებული ნებისმიერი ინფორმაცია, სარგებლობს კონფიდენციალურობის იგივე სტატუსით და დაცვის იგივე ხარისხით, რომელიც გათვალისწინებულია მხარე სახელმწიფოების შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით.

მუხლი 15
გამონაკლისები

1. თუ ერთი მხარის მიერ მოთხოვნილი დახმარების შესრულება არღვევს ან ეწინააღმდეგება თხოვნის მიმღები მხარის სუვერენიტეტის, უსაფრთხოების, სახელმწიფო პოლიტიკის თუ სხვა არსებით ეროვნულ ინტერესებს ან შეიძლება გამოიწვიოს სახელმწიფო საიდუმლოების გამჟღავნების საფრთხე, ან ეწინააღმდეგება მის კანონმდებლობასა და საერთაშორისო ვალდებულებებს, ასეთ შემთხვევებში მხარეს შეუძლია უარი თქვას დახმარების გაწევაზე ან სიტუაციიდან გამომდინარე დათქვას მისი შესრულების პირობები.

2. ურთიერთდახმარების გაწევა შეიძლება გადაიდოს თუ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ მან შეიძლება ხელი შეუშალოს მიმდინარე ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებებს ან გამოძიებას, სამართალწარმოებას ან სასამართლო წარმოებას. ამ შემთხვევაში, თხოვნის მიმღები მხარე სახელმწიფოს საბაჟო ორგანო უფლებამოსილია კონსულტაციები გამართოს თხოვნის წარმდგენი მხარე სახელმწიფოს საბაჟო ორგანოსთან.

3. იმ შემთხვევაში, თუ ურთიერთდახმარება უარყოფილია ან გადაიდო, თხოვნის მიმღებ მხარე სახელმწიფოს საბაჟო ორგანოს უნდა ეცნობოს შესაბამისი მიზეზების შესახებ წერილობითი ფორმით.

მუხლი 16
ხარჯები

1. ამ შეთანხმების დებულებების აღსრულების პროცესში გაწეულ ხარჯებს ანაზღაურებს მოთხოვნის წარმდგენი მხარე სახელმწიფოს საბაჟო ორგანო.

2. ექსპერტების, მოწმეების და თარჯიმანთა ხარჯები, საჯარო მოსამსახურეთა გარდა, ანაზღაურდება თხოვნის წარმდგენი მხარე სახელმწიფოს საბაჟო ორგანოს მიერ.

3. თუ თხოვნის შესრულება საჭიროებს მნიშვნელოვანი ოდენობის ხარჯების გაწევას ან ატარებს განსაკუთრებულ ხასიათს, მხარეები ჩაატარებენ კონსულტაციას იმ პირობების ჩამოყალიბების მიზნით, რომელთა საფუძველზე მოხდება თხოვნის შესრულება და ხარჯების დაფარვა.

მუხლი 17
შეთანხმების იმპლემენტაცია

ამ შეთანხმებით გათვალისწინებული ურთიერთდახმარება ხორციელდება უშუალოდ მხარე სახელმწიფოების საბაჟო ორგანოებს შორის.

მუხლი 18
დავების მოგვარება

1. ამ შეთანხმების ინტერპრეტაციის დროს წარმოქმნილი სადაო საკითხი გადაწყდება მხარე სახელმწიფოების საბაჟო ორგანოებს შორის კონსულტაციების და ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

2. მოუგვარებელი დავები და სხვა სირთულეების რეგულირება მოხდება მხარეებს შორის დიპლომატიური არხების საშუალებით.

მუხლი 19
ცვლილებები და დამატებების გაკეთება

მხარე სახელმწიფოებს შეუძლიათ ამ შეთანხმებაში, შეიტანონ ცვლილებები და დამატებები, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, რომლებიც გაფორმდება ცალკე ოქმებად, რომლებიც წარმოადგენენ ამ შეთანხმების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 20
შეთანხმების ძალაში შესვლა და მოქმედების შეწყვეტა

ეს შეთანხმება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

ეს შეთანხმება ძალაშია განუსაზღვრელი ვადით, თუ ერთი მხარე, დიპლომატიური არხების მეშვეობით, წერილობითი სახით, 6 (ექვსი) თვით ადრე არ შეატყობინებს მეორე მხარეს თავის გადაწყვეტილებას შეწყვიტოს მისი მოქმედება.

შესრულებულია ქ. ..... 201.... წლის ..... ორ დედნად თითოეული, ქართულ, ყაზახურ და რუსულ ენებზე, ამასთან ყველა ტექსტი თანაბრად ავთენტურია. ტექსტის განმარტებასთან დაკავშირებით უთანხმოების წარმოშობის შემთხვევაში რუსულ ტექსტს აქვს უპირატესი ძალა.

საქართველოს მთავრობის სახელით	**ყაზახეთის რესპუბლიკის მთავრობის სახელით**